მესტიის მუნიციპალიტეტი

უშგული, მინდია ჩარქსელიანის ფოტო

2022 წელი, №4 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

სოფელ ჟაბეშში 900 მეტრიანი არხის მშენებლობა მიმდინარეობს

მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება სოფელ ჟაბეშის 900 მეტრიანი არხის არმირება და ბეტონის სამუშაოები. სამივე ხიდზე დადგმულია მალა და დაწყებულია მათი მოპირკეთება.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ნაპირსამაგრი კედლები და საჭიროებიდან გამომდინარე დამატებითი ქვის კედლის გაბიონები. ამ ეტაპზე დასრულებულია შიდა სასოფლო გზების მოშანდაკება. ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქვის ლობეების აღდგენა.

სამშენებლო სამუშაოებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (NAT210016511) გამარჯვებული კომპანია, შპს „ფარაონი“ ახორციელებს. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 4 949 954 მლნ ლარს.

პროექტი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N 131 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხებით და მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ფინანსდება.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები წლის ბოლოსთვის დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ 2021 წლის აპრილის თვეში სოფელ ჟაბეშში მოხდა ფართომასშტაბიანი სტიქია, რის შედეგადაც განადგურდა საგზაო ინფრასტრუქტურა და კერძო საკუთრება.

ბეჩოს, ლატალისა და ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულებში ელექტრომომარაგების ახალი სისტემის მოწყობა მიმდინარეობს



მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის, ლატალის და ბეჩოს ტერიტორიულ ერთეულებში, და ეცერის ტერიტორიულ ერთეულის სოფ. ჰებუთის ელექტრომომარაგებისათვის 10 კვ-ეგხ-ის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა. პროექტის ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 665 137 (ექვსას სამოცდახუთიათას ას ოცდაჩვიდმეტი) ლარი.

პროექტი ფინანსდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხების გაერთიანებით მოცემულ სოფლებზე - (326 921 ლ.) და ადგილობრივი ბიუჯეტიდან-338 216 ლარით.

სამუშაოებს შპს „მოდენ ენერჯი გრუპი“ ახორციელებს.

კომპანიის ხელმძღვანელის ინფორმაციით ამ ეტაპზე შესრულებულია სამუშაოების 90%. პროექტი მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დასრულდება.

პროექტის განხორციელებით აღნიშნულ სოფლებში წლების განმავლობაში არსებული შუქთან დაკავშირებული პრობლემები აღმოიფხვრება.

იაპონიის ელჩის ვიზიტი მესტიის მუნიციპალიტეტში

საქართველო-იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავზე, 11 აგვისტოს, მაშინ როდესაც იაპონიაში მთის დღე აღინიშნება, იაპონიის ელჩი, იმამურა აკირა მესტიის მუნიციპალიტეტს ეწვია.

იაპონიის ელჩი მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, კაპიტონ ჟორჟოლიანს შეხვდა. შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა ელჩს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები და არსებული გამოწვევები გააცნო. მხარეებმა სევე ისაუბრეს იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების და სამომავლო გეგმების შესახებ.

კავკასიონის ულამაზესი მთებით შემოსაზღვრულ ადგილას, მან ხაზი გაუსვა მთის საკვანძო როლს ჩვენი პლანეტის გადარჩენისათვის აუცილებელი ეკოსისტემისა და მომსახურების შექმნაში.

ვიზიტის ფარგლებში, ელჩი მესტიის მერთან ერთად ეწვია უშგულს, რომელმაც თავისი ისტორიით, კულტურული თავისებურებებით, უნიკალური არქიტექტურითა და ულამაზესი ბუნებით უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ქართველი ალპინისტის, მიხეილ ხერგიანის სახელობის სახლ-მუზეუმისა და სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის მონახულება, რომლის სიამაყეა ეთნოგრაფიული ექსპონატები, შუა საუკუნეების ხელნაწერებისა და ხატების კოლექცია. ვიზიტის განმავლობაში ელჩი გაეცნო სვანურ სამზარეულოს და ადგილობრივ ფოლკლორს.

ელჩმა, ასევე მოინახულა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მინი გრანტების ფარგლებში დაფინანსებული ფოტო-გამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოს სხვადასხვა მთის კურორტს. გამოფენა ტარდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „ემ თი ეის“ მიერ.

ვიზიტის ბოლო და გამორჩეული ნაწილი იყო კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრში სტუმრობა, რომელიც 2019 წელს იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ეს არის პირველი სარეაბილიტაციო ცენტრი მუნიციპალიტეტში, რომელიც მნიშვნელოვან სერვისებს აწვდის 100-მდე შშმ პირს.

მესტიის რეგიონულ ლაბორატორიაში ახალი კვლევის მეთოდების დანერგვა მიმდინარეობს

9 აგვისტოს, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის მესტიის ლაბორატორიაში გამართულ სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოლომონ პავლიაშვილი, მესტიის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორი, ირაკლი გულედანი ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ლაბორატორიაში დანერგილი კვლევის მეთოდები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

„სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ძლიერი ქსელი მოსახლეობას საშუალებას აძლევს, ადგილზე მიიღონ საერთაშორისო დონის კვლევებით მომსახურება როგორც სურსათის უვნებლობის, ისე ვეტერინარიის მიმართულებით. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია აქტიურად მუშაობს რეგიონულ ლაბორატორიებში საერთაშორისო სტანდარტის კვლევების დანერგვის მიმართულებით“, - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

მესტიის მერის განცხადებით, მსგავსი საერთაშორისო დონის ლაბორატორიის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის.

მესტიის ლაბორატორიაში გამართულ შეხვედრას სურსათის ეროვნული სააგენტოს და სოფლის განვითარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოების და მესტიის ლაბორატორიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კომპიუტერების გადაცემა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ, ა.(ა.)ი.პ "მესტიის საავადმყოფო ამბულატორიულ გაერთიანებას", ადმინისტრაციული პროცესის გაუმჯობესების მიზნით, პერსონალური კომპიუტერები და პრინტერი გადასცა.

საინფორმაციო შეხვედრა მიწის სისტემური რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, დაბა მესტიაში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების რწმუნებულები გაეცნენ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით დევიძემ და საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე სოფლებისა და დაბების დამისამართების რეფორმის აქტუალური საკითხებიც განიხილეს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა) ხორციელდება.

2022-2024 წლებში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის ნაკვეთებს გეგმა-გრაფიკის მიხედვით აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში დაარეგისტრირებს.

კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: slr.napr.gov.ge/schedu

მიწის სისტემური რეგისტრაცია უფასოა.

მესტიის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების ფესტივალი

მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, 17 - 21 აგვისტოს, მესტიის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების ფესტივალს (Mestia International Short & Mountain Film Festival) მასპინძლობდა.

ფესტივალის სტუმრების საზეიმო მიღება 17 აგვისტოს, მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრში გაიმართა. ცენტრის გარე სცენაზე წარსდგა მესტიის ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“ სვანური ტრადიციული ფოლკლორით.

ფესტივალი მისასალმებელი სიტყვით გახსნეს ფესტივალის დირექტორმა, ხათუნა ხუნდაძემ და მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, გეგი ფალიანმა. დამსწრე საზოგადოებას ფესტივალის სპონსორები და მხარდამჭერები გააცნეს, ასევე ისაუბრეს ფესტივალის სიმბოლური დატვირთვის პრიზებზე.

ფესტივალი გაიხსნა რაინოლდ და საიმონ მესნერების ფილმით „არავის მიწა“ (ქვეყანა: იტალია), რომელიც ასევე გახლდათ მთის თემატიკის საკონკურსო ფილმი.

წელს, მესტიის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების მეორე ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის წევრები გახლდნენ:

- ბარბარა გასერი, ჰოლივუდის უცხოური პრესის წევრი;
- ერვე შნაიდი - ამერიკული კინოს მემონტაჟეთა ასოციაციის წევრი (AEC editor)
- სტანისლავ სემერჯიევი - რეჟისორი, სცენარისტი;
- ვიქტორია იაკუბოვა-შნაიდი - კინორეჟისორი და მწერალი;
- ლილი ხურითი - აფხაზეთიდან დევნილი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური წარმოშობის ქართულენოვანი მსახიობი.

ფესტივალის მეორე დღეს, გასვლითი ღონისძიება ჭალაადში ჩატარდა, რომელიც მესტიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილია და გარდა ჭალაადის მყინვარის სანახობისა,

გამოირჩევა ბუნებრივი საცოცი კლდეებით.

ფესტივალის პროგრამის ფარგლებში, უშბის შთამბეჭდავი ხედების ფონზე, ცნობილმა მთამსვლელმა, ადგილობრივმა მკვიდრმა, აფი გიგანმა, უშბის მწვერვალის და ჭალაადის ბუნებრივი საცოცი კლდეების მოკლე მიმოხილვა გააკეთა.

სპეციალურად, ფესტივალის მოწვეული სტუმრებისთვის, ადგილობრივმა მეკლდეურებმა, ნარიმან ჯაფარიძემ, ავთო ჯაფარიძემ, მარიანა იოსელიანმა, ნიკა იოსელიანმა, ფატი იოსელიანმა, პატარა მეკლდეურებმა, ირინკა რატიანმა და ელენე ხერგიანმა ფესტივალის სტუმრებისთვის კლდეზე ცოცვის საჩვენებელი ასვლები განახორციელეს.

კლდეზე ცოცვა შესაბამისი დაცვით შეეძლო ნებისმიერ მოხალისეს - ფესტივალის სტუმრებთან ერთად ბუნებრივ კლდეზე, ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ბარბარა გასერიც აცოცდა.

ბუნებაში პიკნიკის შემდეგ, ჰოლივუდის უცხოური პრესის ასოციაციის წევრის, ბარბარა გასერის მასტერკლასი ჩატარდა - „ოქროს გლობუსის დაჯილდოება, მრავალფეროვნება, ცვლილებები და სირთულე გლობალურ სამყაროში“. ღია ცის ქვეშ - ჭალაადის ბუნებაში, არაერთი ჟურნალისტური ჯილდოს მფლობელმა, საერთაშორისო კინოდაჯილდოებების სხვადასხვა ასპექტზე ისაუბრა.

ფესტივალის თითოეული დღე გამორჩეული გახლდათ მსოფლიო დონის მასტერკლასებით: 19 აგვისტოს, კინოინდუსტრიაში დღესდღეისობით ერთ-ერთმა გამორჩეულმა, მრავალი ჯილდოს მფლობელმა მემონტაჟემ, ერვე შნაიდმა ჩაატარა მასტერკლასი კინომონტაჟის შესახებ - „პირველი სცენა„, რომლითაც მსმენელს წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვა.

ერვე შნაიდი თანამშრომლობდა ისეთ კინორეჟისორებთან, როგორებიც არიან: სალი პოტერი, ლარს ფონ ტრიერი, მაიკ ფიგი, რეჟის ვარგნიე, ბილ ავგუსტი, ჟან-ფრანსუა რიშე,

ჟან-ჟაკ ანოდი, ფოლკერ შლოენდორფი. მისი ერთ-ერთი პირველი აღიარება გახლდათ, დანიური კინო აკადემიის ჯილდო, კინორეჟისორის ლარს ფონ ტრიერის კანის პრიზიორი სურათის - „Europa“ მონტაჟისთვის. მისი შემოქმედება მოიცავს, როგორც ჰოლივუდურ ბლოკბასტერებს, ასევ ევროპულ საავტორო კინოს. ბოლო 20 წელია თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ კინორეჟისორთან ჟან-პიერ ჟეუნესთან, რომლის ფილმებიც თანამედროვე ფრანგული კინოს ჰიტად იქცა.

ფესტივალის მეოთხე დღეს, სტუმრებისთვის მასტერკლასი ჩაატარა ჟაიდარბეკ კურგუნჟინოვმა - „კასკადიორობის ხელოვნება/არაფერია შეუძლებელი“.

ჟაიდარბეკ კურგუნჟინოვმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა მისი განვლილი ცხოვრების შესახებ, თუ როგორ აყალიბებდა და წვრთნიდა თავის გუნდს მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად. ისაუბრა გუნდის ისტორიასა და სხვადასხვა გადასაღები მოედნის გამოცდილებების შესახებ. ასევე მსმენელს მოუთხრო, ჰოლივუდის ვარსკვლავებთან მუშაობის თავისებურებებზე. დასასრულს კი მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო ჯგუფის "NOMAD STUNTS" განვითარების გზებსა და სამომავლო გეგმებს შეეხო.

ფესტივალის ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ სვანური ტრადიციული მარილის მასტერკლასი - „ჯიმ შვანხან“. ეს არის ოქროს პალმის რტოს მფლობელი ქართველი რეჟისორის, მიხეილ კალატოზოვის (კალატოზიშვილის) ქართული მთის თემატიკის დოკუმენტური ფილმის - „ჯიმ შვანთე“ - შთაგონებით ორგანიზებული მასტერკლასი, სახელწოდებით „ჯიმ შვანხან“, რომლის საშუალებითაც ფესტივალის სტუმრებმა გაიცნეს ტრადიციული სვანური მარილის შექმნის საიდუმლო.

ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდა გამომცემლობის - „Creative Angels“ წიგნების (სამოგზაურო და ტურისტული ნამუშევრები) პრეზენტაცია.

21 აგვისტოს, კი პატარებისთვის, ფესტივალის ფარგლებში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, ჩატარდა სპეციალური პროგრამები: „სინერამას“ საბავშვო-საყმაწვილო ფილმების ჩვენებები

და თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალის საუკეთესო საბავშვო ფილმების პროგრამა „Best of TIAF“ (თბილისის საერთაშორისო ანიმაციურ ფესტივალთან თანამშრომლობით).

მესტიის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების ფესტივალი, წელს ორი თემატიკის საკონკურსო სექციას აერთიანებდა: „მოკლემეტრაჟიანები“ და „მთის თემატიკის ფილმები“. ფესტივალზე ფილმები წარმოდგენილი იყო 21 ქვეყნიდან.

საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციის გამარჯვებულები გახდნენ:

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - "იესო ჩიტს", საქართველო, რეჟ.:
(კლასიკური ქართული კინემატოგრაფიული ხასიათის იუმორისტული, თანამედროვე ინტერპრეტაციისთვის);
სპეციალური პრიზი - „სამზადისი“, საქართველო, რეჟ.: ილია ასიტაშვილი (ოჯახური ურთიერთობების მინიმალისტური, მაგრამ ამავე დროს ძალიან ემპათიური გამოსახულებისთვის);
ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა - „ესმერალდა“, მექსიკა, რეჟ.: სამანტა ოროსკო კარვაიო.

მთის თემატიკის ფილმების საკონკურსო სექციის გამარჯვებულები:

საუკეთესო მთის თემატიკის ფილმი - „დაულაგირი ჩემი ევერესტია“, სლოვაკეთი, რეჟ.: პავოლ ბარაბაში (ადამიანისა და ბუნების სულიერი კავშირის ძლევამოსილი გამოსახულებისათვის)

სპეციალური პრიზი - „რკინის მთხრელი“, ნეპალი, რეჟ.:ანილ ბუდა მაჰარი; (ოსტატური კინემატოგრაფიისა და რეჟისორის თემისადმი პატივისცემით სავსე დამოკიდებულებისთვის)

გრანპრი - „ბერგი“, ნიდერლანდები, რეჟ.: ჯოუკ ოლთაარი (იშვიათი კინემატოგრაფიული შანსისთვის, კინემატოგრაფისტებთან ერთად მოახდინოთ მედიტაცია და შეიგრძნოთ მთის წმინდა და ღვთაებრივი არსი).

მესტიის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების ფესტივალი დაიხურა ზაზა ხალვაშის ფილმის „ნამე“ სპეციალური ჩვენებით.

ფესტივალის მხარდამჭერები გახლდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი.

შეგახსენებთ, რომ ფესტივალი, 2021 წელს, „ქართული კინოს“ დირექტორის, ხათუნა ხუნდაძის და მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ერთობლივი ინიციატივითა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით დაარსდა.

ხალდეობის დღესასწაული

28 აგვისტოს, კალას ადმინისტრაციულ ერთეულში „ხალდეობის“ დღესასწაული აღინიშნა.

ღონისძიება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და „ხალდეს აღორძინების ფონდის“ ინიციატივით, უკვე მეორე წელია ტარდება. ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ხალდელების შთამომავლები ესწრებოდნენ.

მესტიის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლმა „რიჰომ“, ხალდეს აჯანყებისთვის მიძღვნილი სვანური ხალხური სიმღერით „გაულ გავხე“ - ღონისძიება ოფიციალურად გახსნა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ხალდეს მკვიდრმა, თორნიკე გასვიანმა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა კულტურის საკითხებში, ლევან კიკვიძემ.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის, ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის თეატრის მიერ, ღია სცენაზე, ხალდეს ნანგრევებში გაცოცხლდა ხალდეს აჯანყების ისტორია - პიესა მოგვითხრობს სვანეთის უძველეს სოფელზე, რომელმაც რუსულ ოკუპაციაზე თქვა უარი, ლაგურკას ეკლესიის სიწმინდეზე დადებული ფიცი არ გატეხა და 1875 წლის 1 აგვისტოდან 27 აგვისტომდე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლა თავისუფლებისთვის. ამის შემდეგ რუსებმა მიწასთან გაასწორეს ადამიანების გარეშე დარჩენილი ნასახლარი, ცეცხლს მისცეს კოშკებიც და საყანე მიწებიც. ბრძანება გასცეს, რომ სახელი შეცვლოდა და იქ არასდროს აღარავინ დასახლებულიყო.

სპექტაკლმა განსაკუთრებული ემოციები გამოიწვია მაყურებელში, შთამბეჭდილებებს ამ ისტორიის ხილულ ნანგრევებში გადმოცემა უფრო ამძაფრებდა.

ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობდა ხალდეს აჯანყების ამსახველი ფოტო-გამოფენა, რომელმაც მაყურებლის ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია.

ღონისძიების დასასრულს ადგილობრივი მზარეულების მიერ ჩატარდა სვანური სამზარეულოს, მათ შორის კუბდარის ცხობის მასტერ-კლასები.

ღონისძიება დასრულდა ანსამბლ „რიჰოს“ მიერ შესრულებული სვანური სიმღერით „ლილე“ და ქართული მრავალჟამიერით.

აღსანიშნავი და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სოფელ ხალდეში წინაპართა საცხოვრებელ ადგილს 4 ოჯახი უკვე დაუბრუნდა და დანგრეული სახლები აღადგინა.

უძველესი ქართული საგალობლების მასტერკლასი

წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის სკოლა-გიმნაზიაში, მოწვეულმა ფოლკლორის და ვოკალის პედაგოგმა, მარინე ჩარაშვილმა, ადგილობრივი მოზარდი თაობისგან შემდგარი ანსამბლის მონაწილეობით საჩვენებელი ღონისძიება გამართა, რომელსაც მოსწავლეების მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია ესწრებოდნენ.

პროექტი განხორციელდა მესტიის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის, დეკანოზ ბასილის (ფილფანი), ინიციატივით და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

ერთი თვის განმავლობაში, მოწვეული მენტორი ყოველდღიურად ასწავლიდა ბავშვებს უნიკალურ და უძველეს ქართულ საგალობლებს, რომლებიც მოსწავლეებმა გასაოცრად წარმოადგინეს.

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექციამ მადლობა გადაუხადა ქალბატონ მარინეს გაწეული შრომისთვის, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კაპიტონ ჟორჟოლიანს ინიციატივის მხარდაჭერისათვის, იმისთვის რომ არასოდეს იშურებს ძალისხმევას ადგილობრივი ახლგაზრდა თაობის ფიზიკური, ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი განვითარებისთვის.

მარინე ჩარაშვილმა ხაზი გაუსვა ბავშვების ნიჭიერებას, რომლებმაც დიდი მონდომებით, უმოკლეს ვადაში შეისწავლეს ურთულესი საგალობლები და ეზიარნენ ფასდაუდებელ ქართული კულტურის საგანძურს. მან იმედი გამოთქვა, რომ ერთი თვის თავდაუზოგავი შრომით დათესა ის მარცვალი, რომელიც აუცილებლად დიდ ნაყოფს გამოისხამს.

გამოფენა „იტალიური მახრჩობელები. მთა, ალპინიზმი, კლიმატური ცვლილებები"

1 აგვისტოს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დროებით საგამოფენო დარბაზში, იტალიის საელჩოს ორგანიზებით გაიხსნა გამოფენა „იტალიური მარშრუტები. მთა, ალპინიზმი, კლიმატური ცვლილებები“. გამოფენა იტალიის ელჩმა საქართველოში, ენრიკო ვალვომ გახსნა.

ღონისძიებას მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ნელი ნავერიანი და სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორი, პროფესორი ზვიად კვიციანი ესწრებოდნენ.

ექსპოზიცია (კურატორი იტალიელი ფოტოგრაფი და მკვლევარი, ფაბიანო ვენტურა) იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროსა და არაკომერციული ასოციაცია "Macromicro"-ს პროექტია, რომლის მიზანია მთასა და ალპინიზმთან დაკავშირებული იტალიური კულტურის გაზიარება საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

გამოფენა შედგება სამი ნაწილისგან („ზოგადი შესავალი“, „იტალიის მთები“ და „სამყაროს ხედვა“), რომლებსაც თან ერთვის ისტორიული მასალა პირველი ექსპედიციების შესახებ. ეს გახლავთ დედამიწის ყველაზე მნიშვნელოვანი მთის სისტემების (ალპების, დოლომიტის, კავკასიონის, ანდების და ჰიმალაის

მთების) ამსახველი ისტორიული და თანამედროვე ფოტოსურათების შთამბეჭდავი ექსპოზიცია, რომელიც შესანიშნავად გადმოსცემს მყინვარების მასების დნობისა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მთის ლანდშაფტზე.

ექსპოზიცია 30 აგვისტომდე გრძელდება და დამთვალიერებლისთვის უფასო იქნება.

კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესი

25-26 აგვისტოს, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმმა უმასპინძლა კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესს, რომელიც საზეიმო ვითარებაში გახსნა მესტიის ფოლკლორულმა ანსაბლმა „რიჰომ“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი, მერის პირველი მოადგილე ნელი ნავერიანი, მესტიის საკრებულოს თავმჯდომარე, მაიზერ ჯაფარიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაურ ჩართოლანი.

კონგრესის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არქეოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორმა, ზვიად კვიციანმა.

კონგრესის თავმჯდომარე გახლდათ ქართველი ენათმეცნიერი, თსუ-ს

სრული პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ცირა ბარამიძე.

კონგრესის თემა გახლდათ „კავკასია - ინტერდისციპლინური კვლევები II - ენები, ხალხები, კულტურა, გენეტიკური კვლევები„. კონგრესის მიზანია გამოკვეთოს კავკასიის რეგიონის ენებისა და ხალხების კულტურულ-ცივილიზაციური კონტექსტი ისტორიულ ჭრილში ინტერდისციპლინური კვლევების შედეგების საფუძველზე; განსაზღვროს კავკასიის რეგიონის წინაშე არსებული ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები; შეიმუშაოს გამოწვევათა გადასაჭრელად გასატარებელი აქტივობების სამეცნიერო საფუძვლები; განსაზღვროს კავკასიის ლინგვოკულტურული და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების შესაძლებლობები.

კონგრესზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კავკასიის მინორიტარულ ენათა სიცოცხლისუნარიანობისა და ენათა ფუნქციონირების საკითხებს; ასევე კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგიის საკითხებს, გენეტიკური კვლევების შედეგებს და ამ კვლევათა მიმართებას არქეოლოგიურ და ლინგვისტურ კვლევებთან.

კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო კონგრესმა ორი დღის განმავლობაში იმუშავა სექციებად შემდეგი დარგების მიხედვით:

- ენათმეცნიერება, სოციოლინგვისტიკა (3 სექციად)
- ისტორია (2 სექციად)
- არქეოლოგია
- კულტუროლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა
- ეთნოლოგია
- ფოლკლორი, ლიტერატურა
- ეკოლოგია, გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა
- კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგია, გენეტიკური კვლევები.

კონგრესში მონაწილეობდნენ მეცნიერები და სპეციალისტები სხვადასხვა საერთაშორისო კავკასიოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრიდან.

კონგრესის ორგანიზატორი გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზე-

უმი და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის კვლევათა ინსტიტუტი საერთაშორისო პროექტის „მეცნიერება საზოგადოებისათვის“ ფარგლებში.

კონგრესს ფინასური მხარდაჭერა გაუწია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ, ხოლო ღონისძიების პარტნიორი გახლდათ „საოჯახო მეღვინეობა მილდიანი“.

მთის დღეები - 2022

მთის დღეები 2022 - მესტიაში, ჰეშკილში გაიმართა.

ფესტივალი მთელი დღის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას, ქართველ და უცხოელ სტუმრებს, მრავალფეროვან სანახაობას სთავაზობდა.

სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვამ, რომელშიც მონაწილეობდნენ: სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“ და ააიპ „ლატლიშდ“ მათი მრავალფეროვანი პროდუქციით, სვანური საკრავების ოსტატი, ბესო ფირცხელანი, ხეზე კვეთის ოსტატები, კახა და სოზარ იოსელიანები, ნატო ნიგურიანი ხელნაკეთი ნამუშევრებით, ბეჩოს თემის მცხოვრები ნიკა კვიციანი თავისი ნახატებით, კალას სკოლის მოსწავლის, მეგი პირველის ნახატები, მაკა მაყაშვილი - ხელნაკეთი გამორჩეული სამკაულებით, ემა ნავერიანი - ნამდვილი სვანური ქუდების ოსტატი, ლახამულიდან სვანური უძველესი სახეობის ყველი „ნარჩვი“ (შპს „დანილი“).

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ცნობილი შეფების მიშა ავსაჯანიშვილის და რუსო დაუშვილის, საგანგებოდ „მთის დღეებისთვის“ შექმნილი, კერძები.

უდიდესი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა, სვანური ტრადიციული სამზარეულოს კუთხემ, სადაც სვანი ქალბატონები, ყველა სვანური წესის დაცვით ადგილზევე ამზადებდნენ ცნობილ სვანურ კერძებს: კუბდარი, სვანური ხაჭაპური, ფეტვიანი ხაჭაპური, ჭიშდვარი, ფეტვრაალი“, თაშმ’ჯაბი და ა.შ.

ღონისძიების მუსიკალურ ნაწილში კი მონაწილეობდნენ: მესტიის ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“, ანსამბლი „გორდელა“, ნოდარიკო ხუციშვილის ბენდი, სალიო - SALIO.

ფესტივალის დასასრულს კი კვარტეტმა „რანინა“, საგანგებოდ დანთებულ გრანდიოზულ კოცონთან, სტუმრებისთვის და სტუმრებთან ერთად შეასრულა არაჩვეულებრივი ქართული სიმღერები.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com